N 10/707
16/02/2026

707-10-2-202602162011

კოოპერატივ „ფერმილა“-ს (ს/კ 440890564)
გამგეობის თავმჯდომარეს ნოდარ გულიკაშვილს
მის: ქარელი, [redacted]

დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების შესახებ

ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) მიერ, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 ოქტომბრის №254 დადგენილების მე-3 მუხლის, ,,ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მონიტორინგის 2026 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის N1-6/736 ბრძანების და ,,ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გეგმური, დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N1-6/745 ბრძანების საფუძველზე, დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, გთხოვთ წერილის ჩაბარებიდან 3 (სამი) თვის ვადაში სააგენტოში ან/და სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (document@rda.gov.ge) მეშვეობით წარმოადგინოთ თანდართული დანართით (N3) გათვალისწინებული ინფორმაცია.

წერილით განსაზღვრულ ვადაში სააგენტოში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება თქვენი კოოპერატივისთვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის N1-6/736 ბრძანების დანართი შეგიძლიათ იხილოთ სააგენტოს ვებ გვერდზე (rda.gov.ge)

დანართი: 3 ფურცელი (ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის N1-6/736 ბრძანება; მონიტორინგის კითხვარი დანართი N3).

პატივისცემით,

ზურაბ გოზალიშვილი

დირექტორი
ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”

https://edocument.ge/mea/public/#/707-10-2-202602162011

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE